№ 147 ივლისი, 16 პარასკევი. 1866 - 1882 16 ივლისი, პარასკევი. № 147.

„დროება“

გამოდის უოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

კალაფანდის ბრაუნშვეიგზე თ. ივ. მუხრანბატონის სახლებში, ქალაქის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

ქალაქში თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ეუროპიაში ჭელების (ეგრარდის) წიგნის მაღაზიაში. კარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

ერთ წლის. . . 9 მან. | ხუთის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა. . . 5 მან. | სამის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

[illegible] ერთ ასოზე ერთ ... ნახევარ კაპ., ნაბეჭდ[illegible] ... ზე 8 კაპ.

თუ ხანგრძლივი [illegible], რედაქციაში კანონიერ[illegible] და შეთანხმებულებ[illegible] [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

წყალი მოდის, რომ რაც უნდა გულით გინდოდეს ბანაობა, ვერ შეიძლებ.

Არის მართალია მეორე საბანებელი—ძალურინისა მტკვარს გალმა, მაგრამ ისე შორს, რომ სანამ იქ მახვიდოდე, იბანდე და უკან დაბრუნდებოდე ამ სიცხეში, შენი კი დაგემართება-და...

Ერთი-ღ, საშუალება დარჩენია ხალხს: პირ-და-პირ მტკვარში ჩავიდეს და იბანოს, გაგრილდეს; მაგრამ ხშირად ამას ის უბედურება მოსდევს, რომელიც ამას წინად მოვიხსენიეთ: ამისაგან არის, რომ ამ ზაფხულში კვირაში უკანასკნელი ორი-სამი კაცი ილრჩება.

Ახლა მეორე გასაგრილებელი საშუალება — Ალექსანდროვ-ს ბაღი. Ვერც ამით უსარგებლებია კაცს რადგან კვირაში ორჯერ თუ რწყავენ, მეტს არა და ამის გამო თითქმის მუდამ მტვერი დგას და ცხელა.

Ადრინდელ Შენინგის პავილიონში ხო არ შეესვლება კაცს: თუ შეხვალ, უნდა მოითხოვო რამ და თუ მოითხოვე, ინანებ: საჭმელი ძველის ხორაგეულისა და ძვირი, სასმელები საძაგელი და ძვირი, ლიმონადები ისეთი გემოსი, რომ თითქმის ახლოს ვერ იკარებ; მოსამსახურეები ცოტა და თითო საათს უნდა უცადო, რომ ერთ ბოთლს ძყალ და უგემურ ლიმონადის მოლებას ელირსო.

ხალხი კი ამ პავილიონში საღამოობით კვირაში სამჯერ, როდესაც მუზიკა უკრავს, მუდამ საესეა, სხვაგან სად წავიდნენ! „Ევროპისა“ და „Ალდორადოს“ ბაღებში თუ წახველი, გარყვნილობის მეტს ვერას შეხვდები.

Ეს Შენინგის პავილიონი, როგორც ამბობენ, ერთ საინტენდანტოს ჩინოვნიკს ებრაელთაგანს უყიდნია Შენინგის მემკვიდრეთაგან და, უეჭველია, დიდი მოგებაც უნდა ჰქონდეს. მაშ ამ დალოცვილმა ცოტა მაინც შეიბრალოს ხალხი, რომელიც ძალა-უნებურად მორბის იმასთან და თუ ფულების მოგება უნდა, ამ დამაშვრალ ხალხის შეწყნარებაც მოინდომოს...

* * *

Ამ გვარსავე დიდ სიცხეებს გვწერენ ჭუთაისიდამაც: დილიდამ საღამომდინ ხალხი სულ რიონში ჭყუპალაობსო და ამის გამო, საუბედუროდ, თითქმის დღე არ გავაო, რომ ამ ჩვენმა გიჟმა მდინარემ ერთი ადამიანი მაინც არ იმსხვერპლოსო.

* * *

Გამოვიდა მეექვსე, ივნისის, წიგნი ჟურნალის „Иверіисა.“ Შინაარსი:

„Ციხე შიგნიდამ გატეხილი“, რომანი,—„Ისტორიული სურათები“ (ქართველი ქალი) მღ. Დიმ. Ჯანაშვილისა,—„Დაკოდილი“ (ლექსი) რაფ. Ერისთვისა,—ნ. ხუდადოვის ჰასუხად,“ Გრ. Ყიფშიძისა,—„Ესლარი და იმისი თხზულება—Ძველესი თქმულებანი Კავკასიაზე (წერილი მეორე),—„Თანდილას დარდი“ (ლექსი) თ. რაფ. Ერისთვისა,—„Შინაური მიმოხილვა“,—Განცხადებანი.

* * *

Ქუთაისური კორრესპონდენტი „Კავკაზისა“ იწერება ამ ვაზეთში, აქ მოვიდა ამბავიო, რომ ნიკორწმიდის ტყე (რაჭაში თთ. Წულუკიძეებისა) პირველის იელისიდამ იწვისო და თუმცა პოლიციას და ტყის მცველებს რვაასი კაცი მოურეკიათ დასაქრობად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაუწყვეტიათრაო. Სიცხე და ქარი ხელს უწყობს ცეცხლისო და თუ რაიმე ღონის-ძიება არ იხმარეს, დიდ-ძალი ზარალი მიეცემა ხაზინასაც (რადგან ხაზინის ტყეც სამზღვარზეა) და ხალხსაც.

* * *

Ჩვენ მივიღეთ ბ-ნი Ზ. Ჭიჭინაძისგან შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

„Მოგეხსენებათ, რომ პატიეცემულმა ყოვლად-სამღვდელო Ალექსანდრე ეპისკოპოსმა სულხან საბა Ორბელიანის ლექსიკონის ბეჭდვა დააწყებინა, რომელიც, უეჭველია, ამ 1882 წლის დამლევამდის გამოვა.

„Ალექსანდრე ეპისკოპოზს სურს ეს ლექსიკონი ვეტორის სურათით გამოსცეს. Ამ საქმეზე მე დავიწყე მეცადინეობა, მაგრამ ალმოჩენით კი არსად რა ალმოჩნდა. Ბოლოს ალმოჩნდა, რომ სულხან საბა Ორბელიანის სურათი პეტერბურღის სამეცნიერო Აკადემიის ბიბლიოთეკაში ყოფილა. Ამ სურათზე აი რასა სწერს ბ-ნი Დ. Ი. ჩუბინაშვილი 1848 წ. გამოცემულს ქართულ ქრისტომატიის ერთ ფურცლის სნოლიოში:

„Სანკტ-პეტერბურღის აკადემიის წიგნთსაცავში არის ერთი ხელთ-ნაწერი „ძ-ლიერ და მანანა“, რომელ წიგნის ბოლოში დასტულია Საბა ორბელიანი გამღმელი ამავე წიგნისა, გასტაგ მეფის წინაშე მდგომი მოხუცებაში.“

„Ამ შენიშვნის იმედით მე მივმართე პეტერბურღში მყოფ ერთს ქართველს სტუდენტსა და დავავალე, რომ ეგები მოძებნო ესა და ეს ხელთ-ნაწერი წიგნი და მოძებნო Საბ-ს სურათი. Რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდგან მოვიდა წერილი, რომ მოესძებნეთ ის წიგნი და სურათიც ალმოჩნდაო. Ამაზე თქვენს გაზეთშიაც იყო შენიშვნები; მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს საქმე გაძნელდა.

„Როგორც Საბა Ორბელიანის სურათი არის საჭირო, აგრეთვე Ვახუშტი Ბატონიშვილისაცა, რომლის ბეოგრაფიის გამოცემის შესახებ „Დროებაშიაც“ იყო გამოცხადებული. ბ-ნმა Დ. ბაქრაძემ გადმომცა, რომ Ვახუშტის სურათიც პეტერბურღის Აკადემიაში უნდა იყოსო; ამაზე ბროსსე თუ სხვა ვილაც სწერსო, მაგრამ კარგა არ მახსოვსო.

„Ამის გამო მიემართავთ ჩვენს მცოდნე პირთა და ესთხოვთ, რომ თუ სადმე მოიპოვება ამ ხსენებული პირების სურათები წარმოადგინონ ან გამოგზანონ Ტფილისში „Დროების“ რედაქციაში. Განსაკუთრებით Საბას სურათია საჭირო, რადგანაც „Ლექსიკონი“ უკვე იბეჭდება.

„Მოთხოვთ „Შრომის“ რედაქციას, ეს წერილი გადაბეჭდოს, რადგანაც შეიძლება, Ევროპიელებსაც ჰქონდეს ეისმეს ამ პირების სურათები.“

რუსეთი

(გაზეთებიდან)

Განკარგულებაა, სოფლის ყრილობას აღეკრძალოს სკოლებს შესახებ განჩინების გაუქმება, თუ კი ეს სკოლები რომელიმე ალაგას არია გახსნილი თვით გლეხების მოთაურობით. Ამასთანავე ესეც დაიდგინებაო, რომ ამ განჩინებებში იყოს მოხსენებული, თუ რამდენის ხნით ჰსურსთ გლეხებს, შეინახონ სკოლა თავის ხარჯით.

— Ებრაელები ისევ ბრუნდებიან რუსეთში. Ამათმა ესე ცოტა ხნით გადასახლებამაც თავალ-საჩინოდ იმოქმედა რუსეთის ბირჟაზე და ამის გამო, რუსეთს თუ სასიხარულოდ არა, საწყენად არ დაურჩება ებრაელების დაბრუნება. Ათასობით უაქმოდ დაიარებიან თურმე Ამერიკის ყოველ ქალაქში ესენი და საშუ ლება, შეძლება რომ მისცეთ, ჰსურთ ისევ რუსეთში დაბრუნებაო.

უცხოეთი

(გაზეთებიდან)

ეგვიპტეს ამბები

Ინგლისელების დარაჯებს ეგვიპტეში ნაბრძანები აქვთ ჩამოხადონ ყველას იარაღი, ევროპიელებსაც. Ევროპელებს დ ხოცვის ხმები ძართლდება. Ქაირში დიდი არეულობაა; ყველა ელჩები და საზოგადოდ ევროპიელები გამოვიდნენ ქაირიდამ.

— Ნემეცურ გაზ. „Ქელნიშე Ცეტუნგში“ იწერებიან ლონდონიდამ: „Ძედიეს ჰსურს Ინგლისის მფარველობის ქვეშ დაწესოს დროებითი მმართველობა და გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიაც Არაბი-ფაშა ძოხსენებული იქნება მოღალატედ და ამის მეომართ მოიწვევს დაბრუნდნენ შინ. Არაბის სახელი ერთობ დ ეცა ჯარში. Მოელიან, რომ ამის ჯარი გაიფანტებაო. Ადმირალ სეიმურმა სთხოვა სხვა სახელმწიფოთა, გემებსაც დახმარებოდნენ Ეგვიპტეში მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე. Ამერიკელებმა მაშინვე გამოსვეს ნაპირს 125 კაცი, რომელნიც ინგლისელებთან ერთად დარაჯობენ ქალაქს, ხვრეტენ ცეცხლის წამკიდებელთ და შველიან დაშწყვდეულ ქრისტიანეთ და ებრაელებს. Საბერძნეთის გემებიც ამერიკელების მაგალითს მიჰყვებიანო, ამბობენ“.

— Ეგვიპტელები ბევრი არიან დახოცილები, ქრისტიანი 500 ზე მეტი [illegible] ეოკლული. Ამბობენ, რომ თუნდ [illegible] უზედურება კიდევ გაუმეორდეს Ეგვიპტეს, [illegible] ვერას დააკლებს რასაო. Ეგვიპტეს სიმდიდრე ქალაქებში და სასახლეებში კი არაა, მის მიწის ნიადაგშია [illegible] და ჰავაზედ. [illegible] გორც მიწის [illegible] ტე უფრო მალე მოუბრუნებს [illegible] ვინემ საფრანგეთმა მოიპრუნა 1870 [illegible] შემდეგო.

—

საფრანგეთი.

Დეპუტატთა პალატაში მოლაპარაკება იყო ეგვიპტის საქმეებში მონაწილეობას ძალ [illegible] ლაპარაკი ასტყდა ამ საქმისათვის 7,800,000 ფრანკის კრედიტზე. Ფრეისინიემ წარმოსთქვა, რომ ძალუნებურად უნდა მოგვიხდეს [illegible] Ეგვიპტეს საქმეებში იარაღითაო, Ალექსადრიაში მოძხდარი შემთხვევები [illegible] და-პირ გვიწვევენო. Მაგრამ ევროპა [illegible] წინააღმდეგ კი არ უნდა ვიმოქმედოთ, უნდა შეეფარდოთ [illegible] თავეობა Ინგლისმა მიიღო. საფრანგეთმა მაშინვე განაცხადა აზრი მერეპის გარევისა ამ საქმეში,—რადგან მუდამ, როდესაც Ალმოსაველეთის [illegible] მეები Ევროპის დაუკითხავად სწყვეტ ბოდნენ, დიდი ომი სტყდებოდა. Ინფერენციის მოხმობა ძალიან გონიერ საქმეა ამ შემთხვევაში. Თუ Ოსმალეთი გაერია ამ საქმეში, უთუოდ [illegible] წინადადებანი უნდა დაიკოს რომელნიც წარედგინა მას, მაგრამ, თუ [illegible] იმან უარი განაცხადა, მაშინ, უეჭველია, ჩვენ მოგვეენდობა Ეგვიპტეში მშვიდობიანობის დამყარება. Სუ[illegible] არხი უთუოდ თავისუფალი უნ[illegible] დარჩეს. Ს ფრანგეთი მუდამ იმ სახელმწიფოების თანახმა უნდა იყოს, რომელნიც იცენ ამ არხს; მაგრამ [illegible] საგანზედ საჭიროა კონფერენციის გა[illegible] დაწყვეტილება. Ამ გვარიე წინადადება წარედგინა სიფრანგეთისაგან Ინგლისს. Საფრანგეთის მმართველობ[illegible] მუდამ სურდა კავშირი, ერთობა ჰქონოდა Ინგლისთან და ევროპის სახელმწიფოთა თანხმობით ემოქმედნა. Მმართებლობა ჰფიქრობს, რომ ამ გვარ[illegible] ძოქმდებით, ამ სახით ეს ერთგულ[illegible] ემსახურება თავის ქვეყანას.

Გამბეტტა უწოდებს ფრეისინიეს, რომ მას მხედველობაში ჰქონია Ინგლისთან კავშირი; ამ საქმისათვის [illegible] წარმოდგენილი კრედიტი არ იკმარებ[illegible]სო. Გამბეტტა ჰკ-ცხავს კაბინეტს, რომ დათანხმდა, რომ Ოსმალეთს მიეცა მონაწილეობა Ეგვიპტეს დამშვიდებ[illegible]შიო. Ვ ნ შეგვეკრიდება რომ Ოსმალეთის ჯარი არ შეურთდეს Ეგვიპტ[illegible] ჯარს საერთო საქმისათვის, დამშვიდ[illegible]ბის მაგივრადო!

—

იტალია.

Ერთს იტალიის გაზეთში იწერებიან; Ევროპის სახელმწიფონ[illegible] იმაში გაიმტყუნებიან, რომ ერთ[illegible] ნერთის დაუნდობლობის გამო [illegible] გვიანეს და მერე კი ძალა-უნებურ[illegible] უნდა მიეღოთ ის ზომები, რომელ[illegible] თაც ბევრი იმსხვერპლეს Ეგვიპტეში, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა ეს[illegible] შედეგი ყოფილიყო მარტო Არაბი-ფაშისა და ზოგიერთ ამის მომხრე პირთა დასჯის შემდეგ;

Რაც შეეხება Იტალიის პოლიტიკას ამ საქმეებშიო, ამბობს მეორე [illegible] ზეთი „Ოპინიონე“, გამოსადეგი [illegible]

...რომ ჩვენი მმართებლობა იმოქმ...
...ედველს ბერმანიათან და ავსტრიას...
...ერთად. ყოველს ღონეს იხმარს
...ლია, რომ პირდაპირი მონაწი...
...ობა არ მიიღოს შეგვიპტეს საქმეებ...
.... სასურველი არ არის სრულიად
...ამ იტალიამ თვითონ გაიწვიოს
...ში თავის თავ, რადგან ის არ საბ...
...ოებს, რომ რომელიმე თავის ან...
...ოშები დაიკმაყოფილოს.

კასუხი ბ-ნს ქახთ-ქახოსს

(დასასრული *)

6.) რაც შეეხება საამხანაგო დე...
...ს საქმეს, ამას მკითხველი სცნობს
...ემდგომიდამ.

პირველი ხმა დეპუტს დაარსებაზედ
...ა აღსძარ თელავში. წესდების შედ...
...ენას, მისს დამტკიცებას და დაბეჭდას
...ოგადრო მოუნდა. წესდების დამტკი...
...ების შემდეგ წევრად შეკოსელაზედ
...ა მიზნით შემდგარ საზოგადოებაში
...ამო რიცხვმა გამოაცხადა სურვილი
... ნიშნად ამისა სამ-სამი მანეთიც
...მოიტანეს. საქმის საწარმოებლად
...ერთა ალმოირჩევეს კომიტეტიც ჩე...
...ს თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტ...
...იწყო მოსამზადებელი მოქმედება,
...ომლის მიზნითაც რაოდენჯერმე იყო
...ზოგადო წევრთა კრება, კომიტეტის
...ებების გარდა. მოსამზადებელი ცნო...
...ი ეპარქიისა და საქმის წარმოები...
... კომიტეტმა შემოიკრიბა, გადა წყ...
...ტა, რაოდენი ფული არის წინა...
...ოველადვე საჭირო, რომ კომიტეტს
...ეწყო რიგიანად და სარგებლიანად
...ქმის წარმოება, მაიხსნა კიდეც ხე...
...ის-მოწერა საწევრო ფულის შემო...
...ანაზედ ანუ უკვდ მოწერაზედ, რომ...
...ითაც შესდგა 1230 მანეთი, ხო...
...ო დეპუტს გასახსნელად, კომიტეტის
...ოდწყვეტილებით, საჭირო იყო წი...
...პირველადვე არა ნაკლებ 500 მ.
... თანხის შეკრება ყოველად შეუძლე...
...ელი შეიქმნა გარემოებათ მიხედუ...
...ობით.

დამბრკოლებელ მიზეზთაგან ამ
...ემთხვევაში უნდა შევნიშნოთ ჯერ
...ახლე ამ საქმისა. მერე სიძნელე
...ნიშნულის თანხის შეკრებისა და
...ომეტებულად გაცალკევება თელაველო
...ებისა სხვა ხელობის მცხოვრებ...
...ან.

მოეკრე მცხოვრებთ, ისე გვეონე...
...და ჯიბრითვა, ამავე დროს აღძ...
...ი კითხვა მოვაჭრეთა ბანკის გ ხს...
...ბედ. თუმცა, ძართალია, ამის აღ...
...ულება ამათ ვერ მოახერხეს, მაგრამ
...ც ამ-გვარი თვის მოქმედებით
...ფერხეს როგორც დეპუტს საქმის
...ბა, ეგრეთვე შემდეგ რაოდენ...
...ე ხანისა სამაზრო უფროსისაგან
...ძრული კითხვა სამოქალაქო ბანკს
...ასებაზედ. ყველა ამ აღძრულ კით...
...ებმა თვისის ხასიათით ერთმანერთს
...ჯახეს ქალაქის სხვა-და-სხვა წრის
...ენი, რომელთ დამშვიდებისა და
...ოიერთ შიგნის განწყობისათვის
...ირო იყო დრო.

*) „დროება“, № 146.

ამ გარემოებათა მიხედულობით, ...
...ეე, რადგან არ მინდოდა საუდაოდ
...ასპობა დეპუტს საქმისა, ვამჯობინე
...ბიჩუმება ამაზედ საუბრისა. ვიდრე
...თვით საზოგადოება არ სცნობდა მისს
...სარგებლობას გიჭირებულ გარემოებ...
...თა ძალდატანებით და ორმაგი სიხ...
...ლისით არ გამოიღვიძებდა ამ საჭირ...
...ებელი საქმის გონიერულად დაწყებ...
...ბისა და წაყვანისთვის. მაგრამ ამას...
...თანავე მე ვსცნ, რომ ამ საქმის საფ...
...ფუძვლიანად და სინდისიანად წარ...
...მოებისთვის მე სრულებით თავისუ...
...ფალი დრო არა მქონდა და საჭირო
...იყო უფრო მოცლილი კაცისთვის
...გარდამეცა ეს საქმე. კიდეც გამოვაც...
...ხადე ერთს საზოგადო კრების დროს,
...რომ ამ საქმის წარმოების მსურველს
...დიდის სიამოვნებით გარდავსცემ და
...ჩემის მხრით უჩვენე კიდეც ამ საქმე...
...ში სანდო პირი მასწავლებელი სამო...
...ქალაქო საწავლებლისა ბ. ივანე
...როსტომაშვილი. ამ ბოლოს დროს
...მართლაც ესრეთი სურვილი გამოაც...
...ხადა აღნიშნულმა პირმა, რომელსაც
...გულითადის სიამოვნებით გარდავეცი
...დათარი საზოგადოების თანხისა და
...თვით თანხა, რაც იმყოფებოდა ჩემს
...ხელში, სახელდოვრ 128 მ. და 28 კაპ.
...ლმერთმან ინებოს, რომ რაც ჩემგან
...დააკლდა ამ საამხანაგო და სასარგებ...
...ლო საქმეს, ის ერთი-ასად შეემატ...
...ნოს ახალი მოქმედის, უფრო მოცლ...
...ილის და ამ გვარი საქმეების უფრო
...მიმდევარი კაცის ხელში.

ათაევებს რა თავის ეპისტოლეს, ...
...ქახთ-ქახოსი ბოლოს იხედება ცისკენ
...ხელ-გაპყრობილი და უძღვნის ახალ
...თაობის გამარყვნელთა წყეულ-ქოლ...
...ვას. თუ რომ ძართლა ქახთ-ქახოსის
...ლოცვა არის შეგნებული და გულ...
...წრფელი და არა ისეთი შეგვნებელი
...და ფუტუროო, როგორიც არის მთე...
...ლი კორრესპონდენცია, მეც მის...
...ლოცვასთან შემოვაერთებ ჩემს ლოცვ...
...ას და ვიტყვი: „გულთა-მხილავო, უფა...
...ლო! ბეევდრებით შენ, რათა ჩვენი
...ახალთაობის გამრყვნელნი ამიერიდ...
...გან არ ითვლებოდენ მათ განმანათ...
...ლებელად, აღმზრდელებად და ხელმ...
...ძღვანელებად, და რაფა მიიდო ესრ...
...ეთი ჩვენი გულმხურვალე ლოცვა და
...მოაშორო ამ გვარნი პირნი იმათ,
...ვის კეთილდღეობისთვისაც ვლოცუ...
...ლობთ და ვზრუნავთ.“

თელავის სას. სასწ. ზედამხედველი
ნ მთავრელიშვილი.

28 ივლისს.

ქართული ისტორია *)

...ასკვირველია, რომ არც ერთი აქ
...შემოტანილი ცნობა არ იხსენიება
...ძველს ქართულ მწერლობაში. ერ...
...თად-ერთი ამ გვარ ცნობათაგანი,
...რომელსაც ჩვენი მატიანე უჩვენებს
...არის ნაამბი ნერსეს კათალიკოზის დი...
...აკონზე, რომელიც მარდატის დროს
(364†379) ეპისკოპოსად იყო დად...
...გენილი ჩვენში. ჩვენ არ უარ-ვყოფთ,
...რომ ხან-და-ხან სომხები ალვდელ...
...მთავრებად ხდებოდნენ საქართველო...
...ში. ამ გვარი შემთხვევა ერთობის
...დროს დიალ შესაძლებელი უნდა ყო...
...ფილ ყო. მაგრამ რა მიზეზია, რომ
...ივანი ალუანებით დაიწყებაში არიან?
...რ მიზეზია, რომ ქართულ ხრონი...
...კებში ანტიოქელნი საქართველოს
...მღვდელთ-მთავარნი კი არიან მოხსე...
...ნებულნი და სომხითასანი კი არა,
...გარდა ერთისა? აი რისთვის მიგვაჩნია
...საეჭვოდ სომხური წყაროს თქმულე...
...ბა. ასასთანავე ეს თქმულება ნამდვილ
...ფაკტებსაც ეწინააღმდეგება. ძველი
...ქართული და ბერძნული მწერლობა
...ჰაოწმობს, რომ ქართული ეკკლესია
...წმ. ნინოს დროდამე ანტიოქიის სა...
...პატრიარქოს ექვემდებარებოდა და
...ვახტანგ ზურგასლანის მეფობამდე
(446†499) კათალიკოზები იმას არა
...ჰყვანდა და ამ დროდამეც ფარსმან
VI მეფობამდე (542†557) იგინი იყვ...
...ნენ ბერძენთაგანნი ანტიოქიით. ცხა...
...დია, რომ სომხური თქმულება ამ
...შემთხვევაში სცდება. ასე ფიქრობს
...თვით დახელოვნებული მცოდნე სო...
...მხურისა და ქართულის ისტორიისა,
...განსვენებული ბროსსე, მაგრამ ამას...
...თანავე ის იმ აზრისაა, რომ აქ სომ...
...ხური ისტორიის ქართველობის ნაცვ...
...ლად საქართველოში დამკვიდრებული
...სომხობა უნდა იგულისხმებოდეს და
...ივერიის ნაცვლად ზუგარი ანუ ძართ...
...ლის სომხეთია, სადაც გარდა ძარ...
...თველებისა ბლომად ცხოვრობდნენ სომ...
...ხებიც. არც ეს აზრია შესაწყნარებ...
...ელი. ერთი ეს, რომ სომხური მწერ...
...ლები არასოდეს სომხებს ძართველე...
...ბად არ იხსენებენ; მეორე ეს, რომ
...სომხური მწერლები არასოდეს სომ...
...ხებს ძართველებად არ იხსენებენ; მე...
...სამე ეს, რომ სომხური ისტორიის
...თქმულება მეორე ქურიონზე, რომე...
...ლიც ვითომც სომხეთიდამეე იყო 576
...წელს მცხეთაში კათალიკოზად დად...
...გენილი და რომელმაც თავის სამ...
...წყსოთი ხალკიდონის კრებას მიჰკრძა,
...უეჭველია ნამდვილ ქართველობას
...მოიხსენებს და არა საქართველოს სო...
...მხობას. ან რა დასაჯერებელია, რომ
...საქართველოს სომხებს ოდესმე საკუ...
...თარი კათალიკოზი ჰყოლოდა! აქ
...ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობა...
...ში, რომ ვვით სომხეთის კათალიკო...
...ზები ბრიგოლ განმანათლებელის
...დროდამ ვიდრე სომხეთის დაყოფ მდე
...სპარსებისა და ბიზანტიელებისაკენ,
...იკურთხებოდნენ ქესარიაში. არა თუ
...კათალიკოზები, თვით იმის ეპისკოპო...
...სები ხელ-დასხმას მიიღებდნენ ერთი
...ნაწილის ბზარისათვის ნერსეს შე...
...მდეგ იქვე ქესარიაში, და მეორისა...
...თვის, რომელიც ტიგრის და ევფრატის
...შუა მდებარებდა, ანტიოქიაში, რო...
...მელსაც იგინი ალუანებით ექვემდება...
...რებოდნენ. ერთი შემთხვევა გვიჩვე...
...ნებს, თუ რა გვარ ყოფილან შეე...
...წრეებულნი სომხეთის კათალიკოზ...
...ი. ნერსესი დიდი 374 წ. მოაკვლე...
...ინა მეფე ბაბმა და იმისი მოადგილე
...ბაბმავე დასო. ქესარიის მდევდელ-
...მთავარნი კრება გაბრისხდა და ამ
...კრებამ იმის ნებაურთ[illegible]
...ნილ კათალიკოზს უფლება [illegible]
...ამასთანავე აცნობა ბაბას და სომხე...
...თის სამღვდელო დასს, რომ კათალი...
...კოზს ეპისკოპოსის ხელ-დასსმის ნებაც
...არ ეძლევაო.

ამ გვარადვე ეჭვ ქვეშა გვაქვს სო...
...მხური თქმულება ქართულ ანბანზე.
ეს თქმულება თავ და პირველად გად...
...მოგვცა ქურიონმა და იმის სიტყვებს
...იმეორებენ მოსე ძორენელიც და
...შემდეგნი სომხეთის მწერალნიც. ქუ...
...რიონი ამტკიცებს, ვითომს მესროპი
...შემოსულიყოს საქართველოში ალფა...
...ვიტის შესადგენად ბაკურის დროს.
ეს ბაკური უნდა იყოს ვარაზ-ბაკური,
...რომელიც მეფობდა 379†393 წ.
...მესროპი დაბადებულა 361 წ. და,
...როგორც სჩანს, ვარაზ-ბაკურის დროს
...ისეთ ხანში ყოფილა, რომ არა გვგონ...
...ია, ამ ხანში იმას შესძლებიყო ისე...
...თი მძიმე ტვირთი, როგორც დაფუძ...
...ნება და გავრცელება ჯერ სომხური
...ანბანისა, მასუკან ქართულისა და
...აღვანურისა. რაც უნდა იყოს არც
...ქართული მატიანე მოიხსენებს ამ გა...
...რემოებას, არც აღვანური ანბანი აღ...
...მოჩენილა აქამომდე. ან რომელი
...ქართული ანბანი უნდა იყოს მესრო...
...ბისაგან შემოღებული, მხედრული
...თუ ხუცური? თუ ის არის მხედრულ...
...ი, ჩვენ ვიცით, რომ მხედრულის
...კვალი მე-XI საუკუნემდე სრულებით
...არა სჩანს, არც მანეთებზე, არც ძველ
...შენობებზე, არც გუჯრებში და
...ტყავზე ნაწერ წიგნებში. მხედრული
...წარმომდგარა ხუცურიდამ, რომელ...
...საც თავ და პირველად დიდად ემსგავ...
...სებოდა და შემდეგ ხმარებაში განსა...
...კუთრებულია და განსხვავებულა. თუ
...მესროპის ანბანი უნდა იყოს ხუცუ...
...რი, როგორც ამას ზოგნი მეცნიერნი
...ამტკიცებენ, ჩვენ მაინც ეჭვნეულე...
...ბიდამ ვერ გამოვალთ. ვარაზ-ბაკურამ...
...დე უნდა ჰქონიყო თუ არა ქართველ...
...ობას საკუთარი ანბანი? თუ არა
...ჰქონდა, რა ანბანს, ხმაროობდა იგი
...მიწერ-მოწერაში, წირვა-ლოცვაში და
...სხ? თუ ანბანი ჰქონდათ ძართველე...
...ბის მოსაზღვრე ბერძნებს, სირიელებს
...და სომხებს, უეჭველია, ძართველებ...
...საც უნდა ჰქონიყოთ. მართალია, სომ...
...ხები მესროპამდე ბერძნულს და სი...
...რიულ ანბანს ხმაროობდნენ, მაგრამ
...იმათ ჰქონდათ საკუთარი ანბანიც,
...რომელიც დაიწყებული იყო და მეს...
...როპმა მხოლოდ შეამსო და გაავრცე...
...ლა. რომ მესროპს დროამდე ჩვენში
...ხუცური ხმარებაში იყო, წვრილი
...ასოები თუ არა, ასომთაერული მა...
...ინც, ეს ცხადია. ჩვენი ასომთაერული
...მე VI და VII საუკ. გვიჩვენებს ისეთ
...წარმატებას, რომელიც პალეოგრაფი...
...ულის კანონით, მხოლოდ საუკუნე...
...ების განმაველობაში ეძლევა ყველა
...აღფაერტს. შესაძლებელი საქმეა, რომ
...მესროპმა მხოლოდ შეამსო როგორც
...სომხური ბერძნულიდამ, ქართული
...ხუცურიც ზოგიერთის ასოებით, რო...
...მელიც იმას აკლდა, მაგ. ხმოვანი ასო...
...ები. ხმოვანი ასოები იმ დროს არ იხ

*) ის. „დროება“ № 146.

მარეგოდა არა თუ სომხურში, თვით სემიტურ ანბანებშიაც. ჩვენ ამ გვარ ნაკლულევანებას შემდეგშიაც ვპოულობთ ქართულ ანბანშ. მე-VIII, IX და X საუკ. ასო უ სრულებით არა ჩანს და იმის მაგიერ იხმარება შეერთებული ო და ჳ.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება)

თფილისის სამკურნალო

ავთმოფოებში მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალეკიჩი და ლისიცკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაკი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავთმოფობისა; ლისიცკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაკი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცკი და მირამანოვი შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაკი—ძარღვების სისუსტ. ავთმოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაკი—ძარღვების სისუსტ. ავთმოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავთმოფობისა; ლისიცკი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაკი—ძარღვების სისუსტის ავთმოფობისა.

შაბათს. ლისიცკი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაკი—ძარღ. ს სუსტის ავთმოფობისა.

განცხადებანი

მოსამზადებელი სკოლა

ე. თ. დოლგოვო-საბუროვისა

ამ ჟამად გადატანილ არის ქონსულის ქუჩაზე, სლინკოს სახლებში, № 14. სწავლა და მიღება უმაწვილების ორივე სქესისა გრძელდება. სრული პანსიონერები იხდიან თვეში 40 მან., არა-სრული 25 მან.; გარედამ მომსვლელი უმაწვილები 8 საათ.—1 საათ.—6 მან., ნასადილევს (წავლებით კი 10 მ.) (4—1)

გ. ნიკოლოზის-ძე იოსელიანი იღებს თვისს ჰანსიონში უმაწვილებს პირობით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ადრესი: მისაილოვის ქუჩა № 81. (5—3)

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

„ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ.

(20—12)

მალაზია

სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და ჭარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოსარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—5)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

ჯ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი ნაბეჭი.

ბოლგარულ-ინგლისური **ბუთანიგოლნვარდისა** მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ **თ. ა. კეპინოვისაგან**, რომელიც არის აგენტი ბ. გოგარდისა.

კანტორა ბეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორცოვის ქუჩაში. (6—6)

გრიქურეოვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებიგამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

ინგლისის მალაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება: ბარანინა** 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—97)

მერვე კლასსის გიმნაზიელი

აძლევს გაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაშია.

ახალი ქართული

კარაგაღინი

ისყიდება **ტფილისში:** შაკერდოვის და გრიქურეოვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ოდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და ისყიდება



ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ ოლიოხოეონ შარველის ნაწილიდამ ვიდრე ბოლო ნასკვნელ ნაწილამდის მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკ. ქობულაძესთან.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შაკერდოვთან, ჩარკეიანთან და გრიქურეოვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკეიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ბიბლიოთეკა [illegible]

თფილისის—ზაგ. [illegible]

ივან-არაკნი

ქრილოვისაგან და სიბრძნე-სიტ[illegible]

გან კალექციალი ი. რ. ერისთავ[illegible]

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში [illegible] გამოსული რუსულს ენაზე წ[illegible]

Грузинскія крестьянскія гра[illegible] крѣпостные и судебные акты, [illegible] моты и письма грузинскихъ и [illegible] сидскихъ царственныхъ особъ. [illegible] теріалы для исторіи древной [illegible] зіи).

сост. Д. П. Пурцелад[illegible]

ქუთაისში ისყიდება ჭილაძ[illegible] მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ტაძრის

საგვებავ ხორაგეულებათა, რომ[illegible] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, [illegible] ნებში და დატარებით 16 იგლი[illegible] 1 აგვისტომდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქ[illegible]

პირველის ხარისხის—1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

მესამის „ —1 გირ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხ[illegible]

პირველის ხარისხის—1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 ვირ.

მეორის „ „ —1 გირ.

მესამის „ „ —1 გირ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

სუკი — — —1 გირ.

ცხვრის ხორცი 1 გირ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

საშობლო!

ისყიდება შაკერდოვის საალგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—6)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სასმარგებლო, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქურეოვის წიგნის მაღაზიაში, ეკლესიის სიდის ეურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს ა[illegible] ნირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოცდა-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცხრეტ შაურად. ყოველისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევ ებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა ოერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюля 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. ჭელიშვილი. რედაქტორი ს. [illegible]